

თანამედროვე დილემა - დეზინფორმაციასთან რეგულირების გზით ბრძოლა VS სიტყვის თავისუფლება

დავით ქუტიძე¹

შესავალი

თანამედროვე სამყაროში ინტერნეტის როლის უპრეცედენტო ზრდის პარალელურად, რაც ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადებს ქმნის, მკვეთრად იზრდება დეზინფორმაციის, ყალბი ამბების (ეს ორი ტერმინი აღწერს შინაარსობრივად თითქმის იდენტურ ცნებებს²) გავრცელების ფარგლები, მისგან მომდინარე საფრთხეები კი სულ უფრო ხელშესახები ხდება. დემოკრატიულ სახელმწიფოთა წინაშე არსებულ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ყალბი თუ შეცდომაში შემყვანი ინფორმაციისგან თავისუფალი გარემოს უზრუნველყოფა წარმოადგენს, ისე, რომ ზიანი არ მიაღგეს ისეთ უმნიშვნელოვანეს უფლებას, როგორც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა.

მართალია, ყალბ ამბებთან ბრძოლის აუცილებლობასთან დაკავშირებით ფაქტობრივად საყოველთაო თანხმობაა მიღწეული, თუმცა პრობლემის გადაჭრის უნივერსალური და ეფექტური გზები ამ დრომდე არ არის გამოვლენილი. სირთულეებს სიტყვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის ამკარა საფრთხეები და მკაცრი სამართლებრივი რეგულირების შესაძლო „მსუსხავი ეფექტი“ წარმოშობს. აღსანიშნავია, რომ პრობლემის ერთ-ერთი სათავე თავად ყალბი ამბავის თავისებურებებია, რადგან რთულია იმის დადგენა, კონკრეტულად რა სახის ინფორმაცია შეიძლება იყოს მიჩნეული ამგვარად, ვის აქვს სიმართლეზე მონოპოლია, ანუ ვინ უნდა გადაწყვიტოს კონკრეტული ინფორმაციის ბედი და რა სახის სანქციები შეიძლება გატარდეს ყალბი ამბების გამავრცელებლის მიმართ. შესაძლებელია თუ არა ისეთი ალტერნატივის მოძებნა, რომელიც ერთი მხრივ თავიდან აგვარიდებს, ან როგორც მინიმუმ შეამცირებს, დემოკრატიული ინსტიტუტების დისკრედიტაციისკენ მიმართული ყალბი ამბების გავრცელებას, და მეორე მხრივ, უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესის იმგვარად წარმართვას, რომ ზიანი არ მიაღგეს გამოხატვის თავისუფლებას?!

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს იმ რთული დილემის წარმოჩენას, რომლის წინაშეც თანამედროვე მსოფლიო დგას: ერთი მხრივ, ყალბი ამბებით გამოწვეული ზიანი, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ზიანის აღმოფხვრის პროცესში სიტყვის თავისუფლების მიმართ წარმოშობილი საფრთხეები. ნაშრომის ბოლო ნაწილში, პრობლემის ზოგადი ანალიზის შემდგომ, განხილულია კონკრეტულად საქართველოს გამოწვევები ამ საკითხთან მიმართებით.

¹ კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise („გნომონ ვაიზი“), საქართველოს უნივერსიტეტი. e-mail: d.kutidze@ug.edu.ge

² UW Bothell and Cascadia College. News: Fake News, Misinformation & Disinformation. <https://bit.ly/3CfvIjH>

ყალბი ამბები და მათი გავრცელებით გამოწვეული პრობლემა თანამედროვე ეპოქაში

ყალბი ამბებისგან მომდინარე საფრთხეების უკეთ გასაგებად, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია განვმარტოთ მისი არსი. ამ ტერმინის ერთ-ერთ ყველაზე ლაკონურ განმარტებას მარკეტინგის სპეციალისტი ჯული მასტრინი გვთავაზობს:³ „ყალბი ამბავი მოიაზრებს განზრახ თუ უნებლიედ გავრცელებულ ინფორმაციას, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს აუდიტორია და ამახინჯებს რეალობას გამოგონილი ინფორმაციის, ხუმრობების, პროპაგანდის ან ფაქტების არასწორი წარმოდგენით. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც პროპაგანდისტული ან მარკეტინგული ტაქტიკა, როგორც იდეოლოგიური ოპონენტების სამართლიანად ან უსამართლოდ დისკრედიტაციის საშუალება, ასევე შემოსავლების გაზრდის საშუალება ონლაინ ჩართულობის გზით... ყალბი ამბავი შეიძლება ოთხ ტიპად დაიყოს: 1. ყალბი ინფორმაცია - აბსოლუტურად არასწორი, ყალბი ან გამოგონილი ინფორმაცია - წარმოდგენილი როგორც ფაქტი. 2. არასწორად გამოყენებული ან მცდარი ფაქტები - ჭეშმარიტი ინფორმაცია ან მონაცემები, რომლებიც არასწორად არის წარმოდგენილი და გამოიყენება რეალობის მცდარი სურათის დასახატად. 3. ინფორმაციის გამოტოვება - მონაცემები, რომლებიც ფაქტობრივად მართალია, მაგრამ სხვა შესაბამისი ინფორმაცია ან მონაცემი, რომელიც მის თხრობას დაუპირისპირდება, იგნორირებულია. 4. შეცდომაში შემყვანი არჩევანი იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს სიახლე - მნიშვნელოვანი ისტორიები იგნორირებულია ან ღრმად ჩამარხულია (ძნელი საპოვნელია) და უმნიშვნელო ისტორიები განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი სიახლე“.

საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით გამოგონილი ამბების ფენომენი ახალი არ არის. შეთითხნილი, სენსაციური და გაზვიადებული ისტორიები ყველა ეპოქაში არსებობდა. კიბერ-უსაფრთხოებისა და ინტერნეტის მკვლევარის, რიჩარდ ფორნოს სტატიის თანახმად⁴, 2 400 წელზე მეტი ხნის წინ, ჩინელმა სამხედრო სტრატეგმა და ფილოსოფოსმა სუნ ძუმ ომის აქსიომად დაასახელა, რომ უმჯობესია „დაიმორჩილო მტერი ბრძოლის გარეშე“. შესაბამისად, ინფორმაციის - დეზინფორმაციის, ან პროპაგანდის - გამოყენებით, მათი იარაღად ქცევით, შეიძლება დესტაბილიზაციის გამოწვევა და სამიზნე ქვეყნის საზოგადოების პარალიზება. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპიუსი, რომელიც (სხვადასხვა ისტორიული წყაროების თანახმად) მეექვსე საუკუნეში მოღვაწეობდა, წერდა ცრუ ისტორიებს რომის იმპერატორ იუსტინიანე I-ის რეპუტაციის შელახვის მიზნით⁵. ამერიკელი ისტორიკოსი რობერტ დარნტონი, ყალბი ამბების ისტორიის შესახებ თხრობისას, წერდა⁶ შუა საუკუნეების რომში გავრცელებულ სონეტებზე, რომელთა მიზანი იყო პაპის არჩევნებში მონაწილე ყველა იმ კანდიდატთა დისკრედიტაცია, რომლებიც არ იყვნენ მედიჩების დინასტიის რჩეული. სონეტები რომის ცენტრალურ მოედანზე, პასკინოს სახელით ცნობილ ბიუსტზე ქვეყნდებოდა. მსგავს პრაქტიკას არაერთი მიმდევარი გამოუჩნდა და გადაიზარდა ქმედებებში, რომელიც ცნობილია როგორც

³ Julie Mastrine. The Forum Network. 2019. Defining “Fake News” Is Harder Than You’d Think.

<https://bit.ly/3jrt8Qm>

⁴ Richard Forno. The Conversation. 2018. Weaponized information seeks a new target in cyberspace: Users’ minds.

<https://bit.ly/3Eb3Eyz>

⁵ Alan K. Chen. William & Mary Law Review. 2020. Free Speech, Rational Deliberation, and Some Truths About Lies.

<https://bit.ly/3B8DYR8>

⁶ იგივე; გვ. 369. <https://bit.ly/3B8DYR8>

„პასკვინადა“, ჟანრი, რომელშიც იქმნება უსიამოვნო, უმეტესად გამოგონილი ამბები საზოგადოებისთვის ცნობილი ფიგურების შესახებ.

თანამედროვე სამყაროში, ტექნოლოგიების განვითარების, სოციალური ქსელების მზარდი გავლენისა და ინფორმაციის გავრცელების სიმარტივის ფონზე, ეს პრობლემა უფრო მასშტაბურად დგას. სულ უფრო ძნელი ხდება სიმართლესა და სიცრუეს, ფაქტებსა და გამოგონილს შორის მკაფიო საზღვრების დადგენა.⁷ ყალბი ამბები - როგორც გამოწვევა, განსაკუთრებით ამფოთებს დემოკრატიულ საზოგადოებებს, სადაც სიტყვის თავისუფლება დაცულია და ამას ცალკეული მავნე გავლენის აქტორები, მათ შორის მტრულად განწყობილი უცხო ქვეყნები სათავისოდ იყენებენ. ამ კონტექსტში შეიძლება ვახსენოთ არაერთი ანგარიში⁸ თუ გამოძიება,⁹ რომელიც საუბრობს რუსეთის ფედერაციის მცდელობებზე, გავლენა მოახდინოს სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის, აშშ-ის) არჩევნებსა თუ სხვა შიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე.¹⁰

ზემოაღნიშნული სიტუაციის ფონზე, დემოკრატიულ ქვეყნებში, ასევე შესაბამის აკადემიურ წრეებში, სულ უფრო აქტუალური ხდება დებატები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ ისინი დეზინფორმაციის ნიაღვარს. დეზინფორმაციის მასშტაბების ზრდასა და მისი სახიფათო შედეგების გააზრებასთან ერთად, არაერთ ქვეყანაში ჟურნალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების კონტრ-ქმედებებიც გააქტიურდა. ამის მაგალითია ფაქტების გადამოწმების (Fact-Checking) მსოფლიო ტენდენცია. ფაქტების გადამოწმებლების მიზანია გამოავლინონ ყალბი ისტორიები, ამხილონ ისინი სიცრუეში და აუდიტორიას შესთავაზონ ალტერნატივა სიმართლის სახით. ამავდროულად, დიდმა სოციალურმა ქსელებმა, გარკვეულწილად, აიღეს პასუხისმგებლობა, ტექნოლოგიების საშუალებით ხელი შეუშალონ დეზინფორმაციის გავრცელებას საკუთარ პლატფორმებზე. სწორედ ამ ქმედებების ნაწილია ფაქტების გადამოწმების მსოფლიოს ქსელის (International Fact-Checking Network) და Facebook-ის თანამშრომლობა დეზინფორმაციის შეკავების მიზნით.¹¹ ამ ინიციატივის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტების გადამოწმებელი ორგანიზაციები (რომელთა სანდოობა წინასწარ, ერთგვარი აუდიტორული პროცესის საშუალებითაა დადგენილი) ამოწმებენ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ყალბ ამბებს, რის საფუძველზეც, Facebook აკეთებს ყალბი ისტორიების მონიშვნას, რათა მომხმარებელმა იცოდეს, თუ რასთან აქვს საქმე. ამავდროულად, სოციალური ქსელის წარმომადგენლები აცხადებენ, მათი ალგორითმები ცდილობენ რაც შეიძლება ნაკლებმა მომხმარებელმა ნახოს ყალბი ცნობები. ქვეით სტარბირდი, ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი, მსგავს მცდელობებს მიესალმება და ამბობს, რომ „სულ არაფერს სჯობია“, თუმცა, ეს ძალისხმევა არასაკმარისია. მისი დაკვირვების თანახმად,

⁷ Pew Research Center. 2017. The Future of Free Speech, Trolls, Anonymity, and Fake News Online.

<https://bit.ly/3E8gQnF>

⁸ Carlo Martuscelli. Politico. 2021. EU warns of disinformation campaign linked to Russia's Sputnik vaccine.

<https://politi.co/3Ba2vVV>

⁹ Select Committee on Intelligence United States Senate. Report 116-XX on Russian Active Measures, Campaigns and Interference in the 2016 U.S. Election. Volume 2: Russia's Use of Social Media with Additional Views.

<https://bit.ly/3jyKWZw>

¹⁰ Sophie Marineau. The Conversation. 2020. Fact Check US: What is the impact of Russian interference in the US presidential election? <https://bit.ly/30RLzqX>

¹¹ Facebook Journalism Project. 2020. Partnering with Third-Party Fact-Checkers. <https://bit.ly/3aXw8iR>

დეზინფორმაციული შინაარსის ამბები 2020 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების წინ მაინც ათობით ათასჯერ იქნა გაზიარებული. „ამჟამად, ჩვენ ვუყურებთ დეზინფორმაციის ვირუსულ გავრცელებას და სასოწარკვეთილი ვცდილობთ უარყოფით იგი... მაშინაც კი, როდესაც სოციალური მედიის პლატფორმები არ არიან უმოქმედოდ, ცრუ ინფორმაციის ნარატივს უკვე გაკეთებული აქვს თავისი საქმე და დამდგარია ზიანი“, - აღნიშნავს სტარბირდი.¹² ამ კონტექსტში, უნდა გამოვარჩიოთ 2016 წლის საპრეზიდენტო კამპანიის შესახებ ჩატარებული კვლევა¹³ (Guess, Nyhan, Reifler, 2018), რომლის ერთ-ერთი კითხვა ეხებოდა იმას, თუ როგორ ხვდებოდნენ ვიზიტორები ყალბი ამბების გამავრცელებელ გვერდებზე. როგორც აღმოჩნდა, უმთავრესი გამტარი სოციალური ქსელები იყო. ამავდროულად, კვლევამ აჩვენა, რომ ფაქტების გადამმოწმებელი ვებ-გვერდების გავრცელება არ იყო საკმარისად დიდი, რათა გასულიყო ფართო აუდიტორიაზე. იმ გამოკითხული რესპონდენტებიდან, რომლებმაც წაიკითხეს ყალბი ამბავი, არცერთს არ უნახავს იმავე თემაზე ფაქტების გადამმოწმებლების მიერ გავრცელებული სტატიები. კვლევის ავტორთა მოსაზრებით, ყალბ ამბებს დიდწილად არ შეუცვლია 2016 წლის არჩევნების საბოლოო შედეგი, თუმცა, მათ აქვთ შესაძლებლობა გააუფასურონ საჯარო დებატების ხარისხი, წაახალისონ არასწორი აღქმები, გააღრმავონ მტრობა პოლიტიკურ ოპონენტებს შორის და ძირი გამოუთხარონ საზოგადოების ნდობას ინსტიტუტებისა და ჟურნალისტების მიმართ.

დღესდღეობით, არის მცდელობები, ყალბი ამბების პრობლემა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებითაც მოგვარდეს, თუმცა, ეს მიდგომაც არაა სრულყოფილი. ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შემუშავება ხშირად ხელს ვერ უშლის მას, ვისაც სურს ხელი შეუწყოს ყალბი ახალი ამბების გავრცელებას, რადგან კვლავ არსებობს ალგორითმებისთვის გვერდის ავლის საშუალებები. ამასთან, თავად სოციალური მედიის პლატფორმები არიან ძალიან ფრთხილები ამა თუ იმ შინაარსის წაშლისას, რადგან მსგავსი ქმედებები აუცილებლად იწვევენ ცენზურისა და პარტიულობის ბრალდებებს. გარდა ამისა, სოციალური ქსელების ალგორითმების ცვლილებები ხშირად ხდებოდა ეჭვისა და კრიტიკის ობიექტი გამჭვირვალობის არარსებობის გამო.¹⁴ მეტიც, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სოციალური ქსელების მუშაობის პრინციპიდან გამომდინარე, მხოლოდ ტექნოლოგიური ხერხებით დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა ეფექტიანი ვერ იქნება, რადგან სოციალური ქსელების ბუნება სენსაციონალიზმზეა დაფუძნებული და მისი ალგორითმებიც შესაბამისად მუშაობენ, ანუ ვერასდროს გამორიცხავენ არგუმენტირებული დებატების სენსაციონალიზმით გადაფარვის საფრთხეს. მსგავს მოსაზრებას გვთავაზობს რიჩარდ ფორნო, კიბერ-უსაფრთხოებისა და ინტერნეტის მკვლევარი მერილენდის უნივერსიტეტიდან. მისი აზრით, სოციალური მედია კომპანიები საკმაოდ ნელა რეაგირებენ ყალბი ამბების ფენომენზე. მართალია, Twitter და Facebook აცხადებენ, რომ მუშაობენ პლატფორმაზე ყალბი ამბების გავრცელების შესამცირებლად და შლიან ყალბ ანგარიშებს, თუმცა ორივე კომპანია ფულს შოულობს მომხმარებლების აქტივობიდან. ამდენად, მათი ეს

¹² Emily Bazelon. The New York Times Magazine. 2020. Free Speech Will Save Our Democracy. *The First Amendment in the age of disinformation*. <https://nyti.ms/3nh3EX5>

¹³ Andrew Guess, Brendan Nyhan, Jason Reifler. 2018. Selective Exposure to Misinformation: Evidence from the consumption of fake news during the 2016 U.S. presidential campaign. <https://bit.ly/3nh3Nd5>

¹⁴ Alan K. Chen. William & Mary Law Review. 2020. Free Speech, Rational Deliberation, and Some Truths About Lies. <https://bit.ly/3B8DYR8>

მიდგომა გარკვეულწილად წინააღმდეგობრივია, რადგან ერთი მხრივ, ისინი ცდილობენ შეაჩერონ შეცდომაში შემყვანი ისტორიები, რაც ნიშნავს ნაკლებ მომხმარებელს და მეორე მხრივ, მათი მიზანია გაზარდონ მომხმარებლების ჩართულობა.¹⁵

ყალბი ამბების პრობლემის ტექნოლოგიური გზებით თუ ფაქტებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკის საშუალებით გადაწყვეტის პარალელურად, არსებობს ინდივიდების განათლების, მათი მედია წიგნიერების ამაღლების მეთოდიც, რამაც დეზინფორმაციის გავრცელება უნდა შეამციროს. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით ახალგაზრდა აუდიტორიისთვის, არაერთი ინიციატივა შემუშავდა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანამ, ასევე აშშ-ში კალიფორნიამ და სხვა შტატებმა მიიღეს კანონები, რომლებიც ავალდებულებს მათ განათლების სისტემებს, მიაწოდონ მედიაწიგნიერების წყაროები მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. საგანმანათლებლო პროცესში ამგვარი უნარების დანერგვამ შეიძლება გააძლიეროს ეფექტი ყალბი ახალი ამბების მოხმარების წინააღმდეგ, უკვე არსებული თაობათა განსხვავებების გათვალისწინებით.¹⁶ მიუხედავად იმისა, რომ აუდიტორიის ინფორმირება და შესაბამისი უნარებით აღჭურვა მართლაც შეიძლება იყოს ყველაზე სწორი მიდგომა ყალბი ამბების წინააღმდეგ ბრძოლაში, მის მიღწევას დიდი დრო სჭირდება, დეზინფორმაციის მავნე შედეგები კი, უკვე სახეზეა. Chatham House-ის აკადემიის თანამშრომელი სოფია იგნატილოუ, რომელიც იკვლევს ხელოვნურ ინტელექტს და ციფრულ კომუნიკაციებს, აცხადებს, რომ დღესდღეობით ხდება კომუნიკაციის იარაღად გამოყენება, პროვოცირების, შეცდომაში შეყვანისა და საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით, მრავალრიცხოვანი მზაკვრული ხერხით. „დეზინფორმაცია არის მხოლოდ პირველი ეტაპი ინფორმაციის ისე გამოყენებისა, რომ ძირი გამოუთხაროს დემოკრატიას, ხელი შეუწყოს მეტოქე სახელმწიფოების დაბნევას და საზოგადოებრივი აზრის კონტროლს. რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ, რაც არ უნდა ბევრი ფაქტის შემოწმების ინიციატივა განვახორციელოთ, დეზინფორმაცია არ აჩვენებს შემცირების ნიშანს. ის უბრალოდ მუტაციას განიცდის“, - წერს იგნატილოუ.¹⁷

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაჩნდა მოსაზრებები, რომ საზოგადოების დაცვის მიზნით, საჭიროა სოციალური ქსელებისა თუ სხვა წყაროების ისე რეგულირება, რომ ხელი შეეშალოს ყალბი ამბების გავრცელებას. თუმცა, ამ მიდგომის პრაქტიკაში განხორციელება უამრავ წინააღმდეგობას მოიცავს და დიდი საფრთხის ქვეშ აყენებს სიტყვისა და გამომხატვის თავისუფლებას, რომელიც საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ღირებულება და მისი განვითარების, ასევე, თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის აუცილებელი საფუძველია.¹⁸ ნებისმიერი ადამიანის სურვილი და ლტოლვაა გადმოსცეს საკუთარი გრძნობები როგორც ვერბალური, ისე არავერბალური საშუალებებით და სამყაროს გაუზიაროს ისინი. ამასთან, გამომხატვის თავისუფლების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ორგანიზება, ინფორმაციის გავრცელება, განგამის ატეხვა, მობილიზება იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის სხვა ფუნდამენტურ

¹⁵ Richard Forno. The Conversation. 2018. Weaponized information seeks a new target in cyberspace: Users' minds. <https://bit.ly/3Eb3Eyz>

¹⁶ Alan K. Chen. William & Mary Law Review. 2020. Free Speech, Rational Deliberation, and Some Truths About Lies. <https://bit.ly/3B8DYR8>

¹⁷ European Center for Populism Studies (EPCS). Weaponization of information. <https://bit.ly/3jpMW6O>

¹⁸ ტობი მენდელი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის განმარტებასა და მნიშვნელობასთან დაკავშირებული გზამკვლევი. 2012. გამომხატვის თავისუფლება.

უფლებებს საფრთხე შეექმნებოდა. კიდევ ერთი ასპექტი, რასაც გამომხატვის თავისუფლება მოიცავს, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას შეეხება, რადგან ეს უკანასკნელი შეუძლებელი იქნებოდა ღია და გამჭვირვალე კომუნიკაციის გარეშე.¹⁹ სიტყვის და გამომხატვის თავისუფლება განმტკიცებულია არაერთი საერთაშორისო თუ შიდა სახელმწიფოებრივი აქტით: „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“ (მე-19 მუხლი), „საერთაშორისო პაქტით - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ (მე-19 მუხლი), „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით“ (მე-10 მუხლი), საერთაშორისო კონვენციით „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის 1-ლი შესწორებით და „ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციით“ (მე-13 მუხლი), „ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტილი“ (მე-9 მუხლი).²⁰

ყალბი ამბების რაიმე სახით რეგულირებაზე საუბრისას შემფოთების მთავარი გამოძვევი სწორედ ისაა, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი რეგულირება ისე, რომ ზიანი არ მიადგეს სიტყვის თავისუფლებას, მით უმეტეს მაშინ, როცა ბევრი არადემოკრატიული მთავრობა, „ხალხზე ზრუნვის“ საბაბით, მსგავს რეგულაციებს თავისუფალი სიტყვისა და კრიტიკული აზრის ჩასახშობად იყენებს.²¹ ამდენად, დღესდღეობით, მნიშვნელოვან თავსატეხს წარმოადგენს ზემოაღნიშნული წინააღმდეგობის გადაჭრა და ერთგვარი ოქროს შუალედის პოვნა. ქვემოთ სწორედ ამ საკითხის გარშემო არსებული დებატების ჩვენებას შევეცდებით.

დეზინფორმაციის რეალური საფრთხე და არგუმენტები მისი რეგულირების სასარგებლოდ

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც სიტყვისა და გამომხატვის თავისუფლება ძალიან მაღალი სტანდარტით არის დაცული, ყალბი ამბების შესახებ რაიმე შემზღვევა ნორმები არ მოქმედებს. არ არსებობს რაიმე ორგანო, რომელიც აღიარებს საკუთარ როლს დეზინფორმაციისგან გამოწვეული საფრთხეების აღკვეთაში და იმას, რომ დეზინფორმაცია გახდა პოლიტიკის ინსტრუმენტი.²² ფაქტები და გამჭვირვალობა არის აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორების ძირითადი საყრდენი. ერის დაარსების დღიდან, კონსტიტუცია გარანტიას იძლევა, რომ მთავრობამ „არ უნდა მიიღოს კანონი“, რომელიც შეაფერხებს „სიტყვის ან პრესის თავისუფლებას; ან ხალხის უფლებას მშვიდობიანად შეიკრიბოს“.²³ ეს პრინციპი ერთგვარი გამოძახილია ბრიტანელი ფილოსოფოსის ჯონ სტიუარტ მილის მიდგომისა, რომელიც თავის 1859 წლის ტრაქტატში „თავისუფლების შესახებ“,

¹⁹ დავით ქუტიძე, ირინა გურგენაშვილი. Gnomon Wise. 2020. სიძულვილის ენასთან ბრძოლის სახელით შეზღუდული გამომხატვის თავისუფლება?! <https://bit.ly/3BbiFi8>

²⁰ Andrew Puddephatt. UNESCO CI Debates No. 9 (February): 2176-3224. 2011. The Importance of Self-Regulation of the Media in upholding freedom of expression. <https://bit.ly/3vBH11T>

²¹ დავით ქუტიძე. Gnomon Wise. 2021. კორონავირუსის შესახებ „დეზინფორმაციასთან ბრძოლის“ საბაბით დაწყებული სამთავრობო ცენზურის პანდემია. <https://bit.ly/3aYSWPd>

²² Nina Jankowicz, Shannon Pierson. Wilson Center – Science and Technology Innovation Program. 2020. Freedom and Fakes: A Comparative Exploration of Countering Disinformation and Protecting Free Expression. <https://bit.ly/3pvqbSz>

²³ Constitution of the United States. <https://bit.ly/2Zkygz2>

ამტიციებდა, რომ იდეების ცენზურა არასწორია, რადგან ცოდნა წარმოიშობა „ჭეშმარიტების უფრო მკაფიო აღქმისა და ცოცხალი შთაბეჭდილებისაგან, რომელიც წარმოიქმნება შეცდომებზე სწავლის შედეგად“.²⁴ შეიძლება ითქვას, ეს არის ოპტიმისტური ხედვა, რომლის თანახმადაც, იდეათა თანაბარ კონკურენციაში, ანუ „იდეათა ბაზარზე“, კარგი იდეები იმარჯვებენ და უკეთესი არგუმენტი ყოველთვის უფრო დამაჯერებელია საზოგადოებისთვის. თუმცა, არაერთი მკვლევარის შეხედულებით, არსებობს საწინააღმდეგო, ნაკლებ ოპტიმისტური რეალობა, როდესაც დემაგოგიურ ლიდერებს ან მოძრაობებს შეუძლიათ გამოიყენონ დეზინფორმაცია, პროპაგანდა და სწორედ ამ გზით ებრძოლონ ჯანსაღ დებატებს. 1951 წელს, წიგნში „ტოტალიტარიზმის წარმოშობა“, პოლიტიკურმა ფილოსოფოსმა ჰანა არენდტმა ყურადღება გაამახვილა პროპაგანდის გამოყენებაზე, რათა „ერთ ღღეს ადამიანებმა დაიჯერონ ყველაზე ფანტასტიკური განცხადებები და ენდონ მათ, მაშინაც კი, როცა მიუთითებენ თავიანთი სიცრუის უტყუარ მტიციებულებაზე. ამ დროს ისინი თავს აფარებდნენ ცინიზმს“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კარგი იდეები ყოველთვის სულაც არ იმარჯვებს „იდეების ბაზარზე“. „თავისუფალი სიტყვა ხელს უწყობს დემოკრატიის აყვავებას, თუმცა, ამავდროულად, შეიძლება საფრთხეც იყოს მისთვის“, - ამტიციებენ ფილოსოფოსი ჯეისონ სტენლი და ენათმეცნიერი დევიდ ბივერი თავიანთ წიგნში, „ენის პოლიტიკა“.²⁵ დღესდღეობით, უხეში ავტორიტარული რეჟიმი ზღუდავს თავისუფალ სიტყვას, ჭკვიანი კი, კარგად ასრულებს სიტყვის თავისუფლების დამცველის როლს - ატრიალებს ფაქტებს, რათა ხალხი აქციოს დაქვემდებარებულ ჯგუფად და, საბოლოოდ, ამ გზით გააჩუმოს ისინი.

მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტი, ფაქტებზე დაფუძნებული იდეებისთვის არასდროს იყო ადვილი მცდარ იდეებზე გამარჯვება, ეს დისკურსი 21-ე საუკუნეში უფრო მწვავე დებატების საგანი გახდა. ამის მიზეზი, ალბათ, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასა და ამის პარალელურად, ინფორმაციის გავრცელების გამარტივებაა, რაც ხელს უწყობს მცდარ რეალობაზე დაფუძნებულ, მავნე ინფორმაციას, მიაღწიოს სულ უფრო ფართო აუდიტორიამდე. სწორედ ამიტომ, ღღეს სხვადასხვა მკვლევარი ამტიციებს ისეთ რამეს, რაც შეიძლება შემამფოთებელი ჩანდეს ამერიკელებისთვის - რომ შესაძლოა მათი აზროვნება თავისუფალი სიტყვის შესახებ არ არის საუკეთესო და ის გარკვეულწილად ჩამორჩა თანამედროვე ეპოქის მოთხოვნებს. რამდენად აქვს რეალური საფუძველი აღნიშნულ მოსაზრებას, ეს შეიძლება ყველაზე კარგად დეზინფორმაციისგან მომდინარე საფრთხეების ანალიზისას გამოჩნდეს. დეზინფორმაციაზე საუბრისას კი, პირველ რიგში, აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციის (21-ე საუკუნეში ამ დარგის ლიდერი სწორედ რუსეთია) მიერ შემუშავებული და დროთა განმავლობაში დახვეწილი ის მეთოდები, რომლებიც ასე აღელვებს თანამედროვე დასავლურ სამყაროს, ან თუნდაც რუსეთის იმ მეზობლებს, რომლებიც მისი გავლენისგან თავის დაღწევას ცდილობენ.

კრემლის პოლიტიკის მკვლევარი პიტერ პომერანცევი, რომელიც, ბუნებრივია, აღიარებს სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობასა და ხელშეუხებლობას, წამოჭრის რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას: „რა ხდება მაშინ, როდესაც ძლიერი მოთამაშე სისტემატურად, ბოროტად იყენებს ინფორმაციის თავისუფლებას? ავრცელებს დეზინფორმაციას? იყენებს

²⁴ Emily Bazelon. The New York Times Magazine. 2020. Free Speech Will Save Our Democracy. *The First Amendment in the age of disinformation*. <https://nyti.ms/3nh3EX5>

²⁵ იგივე; <https://nyti.ms/3nh3EX5>

სიტყვის თავისუფლებას ისე, რომ ძირი გამოუთხაროს დებატების და საღი აზრის გამარჯვების შესაძლებლობას? და ამას იყენებს არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, როგორც მანკიერი საარჩევნო კამპანიის ნაწილს, არამედ როგორც ტრანსნაციონალური სამხედრო კამპანიის ერთ-ერთ იარაღად? მინიმუმ 2008 წლის შემდეგ, კრემლის სამხედრო და სადაზვერვო სამსახურის მოაზროვნეები საუბრობენ არა ინფორმაციაზე როგორც დარწმუნების ხერხზე, სახალხო დიპლომატიაზე ან თუნდაც პროპაგანდაზე აქამდე ნაცნობი თვალსაზრისით, არამედ ინფორმაციაზე როგორც იარაღზე, დაბნეულობის გამოწვევის, შანტაჟის ინსტრუმენტზე, რომლის მიზანია დემორალიზება, დამხობა და პარალიზება“.²⁶

პომერანცევისა და ვაისის ნაშრომი,²⁷ რომელიც 2014 წელს გამოქვეყნდა, დეტალურად აღწერს რუსეთის მიერ ინფორმაციის, კულტურისა და ფულის იარაღად გამოყენების (weaponization) მეთოდებს. მათი თქმით, კრემლი იყენებს ინფორმაციის თავისუფლების იდეას საზოგადოებაში დეზინფორმაციის გასავრცელებლად. მისი ეფექტი არ არის დარწმუნება (როგორც ეს ხდება კლასიკურ სახალხო დიპლომატიაში) ან ნდობის მოპოვება, არამედ, მისი მიზანია, შეთქმულების თეორიებით დათესოს დაბნეულობა და გაავრცელოს სიცრუე. ეს ავტორები აღნიშნავენ, რომ ცივი ომისგან განსხვავებით, როდესაც საბჭოთა კავშირი მეტწილად მხარს უჭერდა მემარცხენე ჯგუფებს, ახლა იდეოლოგიისადმი სუფთა პრაქტიკული მიდგომა კრემლს საშუალებას აძლევს ერთდროულად მოიძროს უკიდურესად მემარცხენე და მემარჯვენე მოძრაობები, მწვანეები, ანტიგლობალისტები და ფინანსური ელიტა. მიზანია, რომ გაამწვავოს დაყოფა და მოამწიფოს კრემლის მხარდაჭერა ამა თუ იმ საზოგადოების შიგნით. კრემლი იყენებს ლიბერალური დემოკრატიების ღიაობას, მართლმადიდებლურ ეკლესიას და არასამთავრობო ორგანიზაციებს თავისი აგრესიული პოლიტიკური მიზნებისთვის, ანგრევს საგამოძიებო და პოლიტიკური ჟურნალისტიკის ავტორიტეტს და ცდილობს გააღვივოს უნდობლობა ტრადიციული მედიისადმი. ინფორმაციის იარაღად გამოყენება არის თანამედროვე რუსეთის ჰიბრიდული/არაერთგვაროვანი ომის სასიცოცხლო ნაწილი, რომელიც აერთიანებს ზემოაღნიშნულ ელემენტებს, ფარული და მცირე ზომის სამხედრო ოპერაციებთან ერთად. ამასთან, ზემოთ ხსენებული ავტორები აღნიშნავენ, რომ სხვა მზარდი ავტორიტარული სახელმწიფოებიც შეეცდებიან გადაწერონ მოსკოვის ჰიბრიდული ომის მოდელი, დასავლეთს კი, არ აქვს ინსტიტუციური ან ანალიტიკური ინსტრუმენტები მასთან გამკლავებისთვის.

გლებ პავლოვსკი, პოლიტიკური კონსულტანტი, რომელიც მუშაობდა პუტინის საარჩევნო კამპანიაზე და იყო კრემლის დიდი ხნის ინსაიდერი ამბობს: „სსრკ-სა და ახლანდელი რუსეთის პროპაგანდას შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ საბჭოთა პერიოდში სიმართლის კონცეფცია მნიშვნელოვანი იყო. მაშინაც კი, თუ ისინი იტყუებოდნენ, ისინი ზრუნავდნენ მტკიცებაზე, რომ რასაც აკეთებდნენ „სიმართლე“ იყო. ახლა არავინ ცდილობს დაამტკიცოს „სიმართლე“. თქვენ შეგიძლიათ უბრალოდ თქვათ ყველაფერი, შექმნათ რეალობა“.²⁸ უსაფუძვლო ბრალდებებით ალტერნატიული რეალობის შექმნის კარგი მაგალითია რუსული დეზინფორმაცია თბილისში არსებული, აშშ-ის ფინანსური მხარდაჭერით დაფუძნებული რიჩარდ ლუგარის სახელობის

²⁶ Peter Pomerantsev and Michael Weiss. Institute of Modern Russia, The Interpreter. 2014. The Menace of Unreality: How the Kremlin Weaponizes Information, Culture and Money. <https://bit.ly/3vzHva0>

²⁷ იგივე; 83. 4. <https://bit.ly/3vAh8AG>

²⁸ იგივე; 83. 9. <https://bit.ly/3vAh8AG>

საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის შესახებ. რუსეთის მხრიდან გავრცელებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს დაუსაბუთებელ, ყალბ და დამახინჯებული ფაქტების პერმანენტულ გავრცელებასთან, ასევე ამ დაწესებულების მიმართ მკვეთრად ნეგატიური იარლიყების მიწებებით, რუსული პროპაგანდა ცდილობს, სამიზნე აუდიტორიის გონებაში ჩამოაყალიბოს ჯერ გაუცნობიერებელი შიში, ხოლო, საბოლოო ჯამში, ნეგატიური აღქმა აღნიშნული ლაბორატორიის და ზოგადად ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. ალტერნატიული რეალობის შექმნის მცდელობას კარგად ააშკარავენ BBC-ის ჟურნალისტური გამოძიება.²⁹ გამომძიებელი ჟურნალისტი, რომელმაც კონკრეტული ფაქტების დახმარებით ამხილა აღნიშნული პროპაგანდისტული კამპანია, ასკვნის, რომ პროპაგანდა შემდეგნაირად მუშაობს - მთავარია, სრულიად უსაფუძვლოდ, პასუხისმგებლობის აღების გარეშე, დასდო ბრალი ვინმეს და საქმეც გაკეთებულია. ხოლო, როცა დეზინფორმაციის წყაროს მიმართ ჩნდება კითხვა, თუ სად არის ბრალდების დამამტკიცებელი საბუთი, ისინი პასუხობენ: მსგავსი რამ არ არსებობს, მაგრამ ეს ხომ იმას არ გამოირიცხავს, რომ ჩვენი ბრალდება სიმართლე არ არის?

ამდენად, ახალი ტიპის რუსული პროპაგანდის მიზანი არ არის დარწმუნება, არამედ მისი მიზანია, მიიტაცოს მაყურებლის ლოგიკური მსჯელობა, დატოვოს ის პასიური და პარანოიდული. შეთქმულების თეორიები არის სრულყოფილი ინსტრუმენტი ამ მიზნით. ისინი მთელ რუსულ ტელევიზიაშია. რუსული ტელევიზია მაყურებელს უბიძგებს პარანოიდული მსოფლმხედველობისკენ გაუთავებელი მინიშნებებით „მათზე“ და „გარე მტრებზე“, რომელთაც სურთ „დაკბინონ რუსეთი“. თუ რბილი ძალა უცხოელებისთვის საკუთარი თავის მიმზიდველობის ჩვენებაა, რუსეთში პირიქით - კრემლი ადანაშაულებს დასავლეთს, კულტურულ ბოღმას აძლიერებს შიდა დონეზე და საზღვარგარეთ თავს წარმოაჩენს როგორც ჯვაროსანი, რომელიც ებრძვის „ევრო-სოლომის“ ძალებს. რუსეთი იყენებს ინფორმაციის თავისუფლების იდეას, რათა ძირი გამოუთხაროს ამავე პრინციპს, სწორი ინფორმაციის დეზინფორმაციით ჩანაცვლებისას. ის ასევე იყენებს იდეას, რომ სიმართლე ყოველთვის სუბიექტური აღქმის საგანია და ამ პროცესში კრემლის მედია სრულად უგულებელყოფს ფაქტებს. რუსეთი კარგად იყენებს იმასაც, რომ ფილოსოფიურ ჭრილში დასავლეთს აქვს თავისი კრიზისი „სიმართლის“ და „რეალობის“ იდეების მხრივ, ინსტიტუციურ დონეზე.³⁰

ინფორმაციის იარაღად გამოყენების (weaponization) პრინციპს ადასტურებს რუსი გენერლის, ვალერი გერასიმოვის მიერ 2013 წელს გამოქვეყნებული სტატია,³¹ რომელიც გერასიმოვის დოქტრინის სახელითაა ცნობილი. გერასიმოვი წერდა: „შეიცვალა ომის წესები. გაიზარდა პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების მიღწევის არასაომარი საშუალებების როლი და ხშირ შემთხვევაში მათ გადააჭარბეს იარაღის ძალას თავიანთი ეფექტურობით... კონფლიქტის გამოყენებითი მეთოდების აქცენტი შეიცვალა პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო, ჰუმანიტარული და სხვა არასაომარი ზომების ფართო გამოყენების მიმართულებით. ყველა ეს ზომა კი, გამოიყენება მოსახლეობის საპროტესტო პოტენციალთან კოორდინაციით. ასიმეტრიული მოქმედებები ფართოდ გავრცელებადია, რაც შესაძლებელს

²⁹ BBC. 2018. Russian disinformation and the Georgian 'lab of death'. <https://bbc.in/3C7qaaS>

³⁰ Peter Pomerantsev and Michael Weiss. Institute of Modern Russia, The Interpreter. 2014. The Menace of Unreality: How the Kremlin Weaponizes Information, Culture and Money. <https://bit.ly/3vzHva0>

³¹ Russian Military Doctrine article by General Valery Gerasimov. 2013. Translated by Robert Coalson. <https://bit.ly/3B97F4C>

გახდის მტრის უპირატესობების შესუსტებას შეიარაღებულ კონფლიქტში. ასეთ ქმედებებს შორისაა სპეციალური ოპერაციების ძალების გამოყენება და შიდა ოპოზიცია მტრის სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე მუდმივად მოქმედი ფრონტის შესაქმნელად, ასევე საინფორმაციო მოქმედებები, რომლებიც მუდმივად სრულყოფილდება... აუცილებელია, რომ სრულყოფილ ქმედებები ინფორმაციულ სივრცეში“.

რუსული საინფორმაციო ომის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ პუტინმა დიდი ინვესტიცია ჩადო ინფორმაციის შეიარაღებად გარდაქმნის პროგრამაში, სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით ეჭვისა და განხეთქილების დასათესად. მისი საბოლოო მიზანი კი, დასავლეთის ქვეყნების ერთიანობის შესუსტება, მათ შიდა პოლიტიკაში უთანხმოების გაღვივება და რუსეთისადმი პოზიციის მკვეთრი ცვლილებაა. დეზინფორმაციის ფუნდამენტური მიზანი, სხვადასხვა მკვლევარის თანახმად, მოვლენების ოფიციალური ვერსიის შელახვაა. დეზინფორმაციამ ყველაზე ცნობილი წარმატება მოიპოვა 2014 წლის დასაწყისში, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე. იმ ზაფხულს რუსეთმა წამოაყენა თავბრუდამხვევი თეორია მალაიზიის ავიანაზების თვითმფრინავის ჩამოგდების შესახებ და ამ ქმედებებში CIA დაადანაშაულა, ასევე მან დააბრალა უკრაინელ სამხედროებს, თითქოს მათ თვითმფრინავი შეცდომით ჩამოაგდეს, რადგან ის რუსეთის პრეზიდენტის ეგონათ. ამ საინფორმაციო ბურუსმა დაფარა ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ცუდად მომზადებულმა მემბოხებმა შემთხვევით ჩამოაგდეს მალაიზიის ავიანაზების სამგზავრო თვითმფრინავი (რომლის ბორტზე 298 ადამიანი იმყოფებოდა) რუსეთის მიერ მიწოდებული რაკეტით.³² ის, რომ თვითმფრინავის ჩამოგდებაში და უდანაშაულო ხალხის სიკვდილში რუსეთის მიერ მხარდაჭერილი მემბოხების კვალი იყო, მოგვიანებით შესაბამისმა გამოძიებამაც დაადასტურა.³³

როგორც აღვნიშნეთ, რუსული დეზინფორმაციის კვალი იკითხება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, თუმცა, რამდენიმე დამატებითი მაგალითი უფრო თვალსაჩინოს ხდის მის მასშტაბებს. ინტერნეტის მკვლევარის, რიჩარდ ფორნოს სტატიის³⁴ თანახმად, რუსებმა შექმნეს სოციალური მედიის ყალბი ანგარიშები პოლიტიკური აქტივისტების სიმულაციისთვის - როგორცაა მაგალითად @TEN_GOP, რომელიც თითქოსდა ასოცირებული იყო ტენესის რესპუბლიკურ პარტიასთან. მხოლოდ ამ ანგარიშმა მოიზიდა 100 000-ზე მეტი მიმდევარი. მიზანი იყო პროპაგანდის გავრცელება, როგორცაა ე.წ. მიმები, პოსტერები ან მოკლე ანიმაციური გრაფიკა. ამასთან, ყალბი ინფორმაცია და შეთქმულების თეორიები ხშირად ხდება განხილვის საფუძველი ძირითად პარტიულ მედიასაშუალებებში.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მძლავრად ახდენს რუსული დეზინფორმაცია ინდივიდის დეზორიენტაციას, შეგვიძლია გარი შტეინგარტის გამოცდილება განვიხილოთ. მან 2015 წელს ჩაატარა ერთგვარი ექსპერიმენტი და ერთი კვირის განმავლობაში, სასტუმროს ნომერში განმარტოებული, განუწყვეტლივ უყურებდა რუსეთის სამთავრობო ტელევიზიის სამ ყველაზე პოპულარულ არხს. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის

³² Neil MacFarquhar. The Seattle Times. 2016. Weaponization of information key part of Russian military doctrine. <https://bit.ly/2ZbmCq9>

³³ BBC. 2020. MH17 Ukraine plane crash: What we know. <https://bbc.in/3vA4BgF>

³⁴ Richard Forno. The Conversation. 2018. Weaponized information seeks a new target in cyberspace: Users' minds. <https://bit.ly/3Eb3Eyz>

„ლევადას ცენტრის“ თანახმად, რუსეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიახლეებს ძირითადად ტელევიზიიდან ეცნობა. საშუალო ასაკის და ხანდაზმული ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ მოსკოვისა და პეტერბურგის გარეთ, განსაკუთრებით ერთგული ტელემაყურებლები არიან. დასაკვირვებლად არჩეული არხებიდან, ორი ძირითადი არხი - „პირველი არხი“ და „რასია 1“ სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო მესამე, NTV, ნომინალურად დამოუკიდებელი, მაგრამ „გაზპრომ-მედიის“ მიერ კონტროლირებადია (გიგანტური ენერგეტიკული კომპანიის შვილობილი კომპანია), რომელიც რუსეთის მთავრობის გავლენის ქვეშაა. ექსპერიმენტის დასასრულს, ტელევიზიების გავლენის შესახებ შტეინგარტი წერდა: „როდესაც უყურებთ პუტინის შოუს, თქვენ ცხოვრობთ ზესახელმწიფოში. თქვენ ხართ მეამბოხე უკრაინაში, გაბედულად ასწორებთ მიწასთან დონეცკის ოდესდაც ყველაზე თანამედროვე აეროპორტს რუსული იარაღით. თქვენ ხართ რუსულენოვანი ბებია, რომელიც დგას ლუგანსკში განადგურებულ სახლთან და უყვირის ნაცისტებს [იგულისხმება უკრაინული არმიის ძალები], ისევე როგორც ეს დედამისმა გააკეთა, როდესაც გერმანელები შემოიჭრნენ 70 წელზე მეტი ხნის წინ. თქვენ ხართ მღვდელი, რომელიც აკურთხებს ფრონტის ხაზისკენ მიმავალ რუსული ჰუმანიტარული დახმარების ფოტოგენურ კოლონას. ტანჯვა და გადარჩენა: ეს უნდა იყოს რუსის ყოფნის მნიშვნელობა, ასე იყო წარსულში და იქნება სამუდამოდ. ეს არის ფანტაზია, რომელსაც ყოველ დამე რეალობად აქცევენ რუსეთის „პირველ არხზე“, „რასია 1“-ზე, NTV-ზე... სამივე ტელეარხი ერთნაირად მყარია სამშობლოსა და პუტინის სიყვარულში და მათ მიმართ ზიზღში, რასაც ისინი უწოდებენ მორალურად კორუმპირებულ დასავლეთს“.³⁵

ზემოთ განხილული გამოწვევების ფონზე, როდესაც მავნე გავლენის აქტორები ცდილობენ ინფორმაციის თავისუფლება გამოიყენონ არგუმენტირებული დებატებისა და კრიტიკული აზროვნების ჩახშობის მიზნით, არაერთი მკვლევარი სვამს კითხვას - უნდა იყოს კი, მსგავსი ინფორმაცია დაცული გამოხატვის თავისუფლების სტანდარტებით? ხომ არ უნდა მოხდეს მისი რაიმე ფორმით რეგულირება?

ამერიკის შეერთებულ შტატებში საუბრობენ იმაზე, შეიძლება თუ არა ყალბ ამბებს ჰქონდეს პირველი შესწორების მიერ დაცვა, რადგან ყალბი ახალი ამბები ძირს უთხრის სიტყვის თავისუფლების ორ ძირითად ფუნქციას - დემოკრატიას და ჭეშმარიტების ძიებისთვის ხელის შეწყობას (თავისუფალმა სიტყვამ კი, ხელი უნდა წაახალისოს რაციონალური მსჯელობა). არსებობს მოსაზრებები, რომ ყალბი ამბები უნდა იყოს კლასიფიცირებული როგორც „არაფრისმთქმელი მეტყველება“, რომელიც არ შედის პირველი შესწორების ფარგლებში. შეთქმულების თეორიები, სიცრუე, ფაქტების დამახინჯება, ინფორმაციის უზარმაზარი რაოდენობა, რომელიც გაჯერებულია ბრაზით, ეაოსის სათავეა და ხალხს, თუნდაც პოლიტიკისგან დისტანცირებულებს, ემოციურად გამოფიტავს, სკეპტიკურად და ცინიკურად განაწყობს პოლიტიკის მიმართ, არ უნდა ითვლებოდეს რაიმე ფორმით დაცვის ღირსად.³⁶

³⁵ Gary Shteyngart. The New York Times Magazine. 2015. 'Out of My Mouth Comes Unimpeachable Manly Truth'. <https://nyti.ms/3niykXR>

³⁶ Emily Bazelon. The New York Times Magazine. 2020. Free Speech Will Save Our Democracy. *The First Amendment in the age of disinformation*. <https://nyti.ms/3nh3EX5>

მკვლევარები ცალსახად თანხმდებიან, რომ ყალბი ახალი ამბების გავრცელება კომპლექსური სოციალური პრობლემაა. თუმცა, მათი შეთანხმება აქ მთავრდება. ინდუსტრია ამჟობინებს ბაზარზე დაფუძნებულ ან ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს ყალბი ამბების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ, როგორც ვნახეთ, მხოლოდ მათზე დაყრდნობით ყალბი ამბების მასშტაბური ელიმინაცია ვერ ხერხდება, ისევე როგორც ალგორითმული მიდგომებით. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ პირველი შესწორების დოქტრინა იძლევა ყალბი ახალი ამბების სახელმწიფო რეგულირების საშუალებას ე.წ. „იდეების ბაზრის“ კონტექსტშიც კი, რადგან ზოგჯერ შეიძლება კარგად მომუშავე ბაზრებიც ჩავარდნენ. ხოლო, როცა ეს ხდება, სიტუაციის გამოსასწორებლად სახელმწიფო შემოდის. ისინი თვლიან, რომ ყალბი ამბები არის ბაზრის მარცხი, მაგალითი იმისა, რომ სიცრუე ხშირად უსწრებს ფაქტებს ინფორმაციის ასიმეტრიის გამო - მომხმარებელთა დიდ ნაწილს არ აქვს უნარი, განასხვავოს კარგი იდეები ცუდისგან.³⁷ ჭეშმარიტებად შეფუთული სიცრუე ამცირებს ამომრჩევლის ცოდნას და მისი ინფორმირებული არჩევანის შესაძლებლობას. ყალბი ახალი ამბები აზიანებს საზოგადოებრივ დისკურსს ცრუ ეკვივალენტობის შექმნით - თუ ყველა განცხადება თანაბარია (მიუხედავად იმისა, როგორი აშკარად მცდარიც არ უნდა იყოს რომელიმე მათგანი), ამით უფასურდება სიმართლის მნიშვნელობა. დეზინფორმაცია ამცირებს ნდობას ტრადიციული მედიის მიმართ, რადგან ართულებს ნამდვილი ისტორიების შესაძლებლობას, მოახდინონ გავლენა მნიშვნელოვან საკითხებზე. ასევე, ყალბი ამბები ხელს უწყობს პოლიტიკურ პოლარიზაციას, რაც იწვევს განხეთქილებას და ანგრევს სოციალურ სოლიდარობას.³⁸ ზოგიერთი მკვლევარი ხაზს უსვამს იმას, რომ ყალბი ამბები ვერ ჩაითვლება „იდეების ბაზრის“ წევრად, რადგან ისინი არა იდეებს, არამედ მცდარ ფაქტებს მოიცავენ.

ბუნებრივია, ზემოთ განხილულ ავტორებს ესმით, რომ მთავრობის მიერ კრიტიკოსების ცენზურა კვლავ რჩება სერიოზულ საფრთხედ ინფორმაციის რაიმე ფორმით შეზღუდვის პირობებში, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ეს უფრო ავტორიტარული რეჟიმების წინაპირობაა და შეერთებულ შტატებში და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც ბევრად ნაკლებია ცენზურის საფრთხე, არსებობს სხვა სახის გამოწვევა ყალბი ამბების სახით, რომელიც შესაძლოა უფრო მეტ ზიანს აყენებს პოლიტიკას, ახალ ამბებს და მეცნიერებას. ამ მიდგომის მიმდევრები იშველიებენ ევროპის, ან თუნდაც კანადისა და ახალი ზელანდიის მაგალითებს, სადაც გამოხატვის ცალკეული ფორმები რეგულირებულია. ამ კონტექსტში, ისინი სვამენ კითხვას, ხომ არ არის დროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც იფიქროს მსგავსი მიმართულებით და იშველიებენ ჰანა არენდტის, ებრაელი ინტელექტუალის მოსაზრებას (რომელიც დევნილი იყო ნაცისტების მიერ) იმის შესახებ, რომ ფაშისტური იდეოლოგიის იდეალური სუბიექტი იყო პიროვნება, „ვისთვისაც განსხვავება ფაქტსა და მხატვრულ ლიტერატურას შორის, ჭეშმარიტსა და ყალბს შორის აღარ არსებობს“.³⁹

³⁷ იგივე; <https://nyti.ms/3pvqYTx>

³⁸ Ari Ezra Waldman. University of Pennsylvania Journal of Constitutional Law, Vol. 20, NYLS Legal Studies Research Paper No. 3141373. 2018. The Marketplace of Fake News. <https://bit.ly/3C6V5Eo>

³⁹ Emily Bazelon. The New York Times Magazine. 2020. Free Speech Will Save Our Democracy. *The First Amendment in the age of disinformation*. <https://nyti.ms/3nh3EX5>

არგუმენტები ყალბი ამბების რეგულირების საწინააღმდეგოდ

ნაშრომის წინა ნაწილში განხილულ მსჯელობებს, ბუნებრივია, აქვთ არსებობის უფლება, უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში სრულიად მართებულად წარმოაჩენენ იმ ზიანს, რაც ყალბ ამბებს, განსაკუთრებით კი, კამპანიური ხასიათის დეზინფორმაციას (რომელსაც, მაგალითად, რუსეთი ავრცელებს) მოაქვს. ასევე, ისინი სწორად მიუთითებენ იმაზეც, რომ ყალბი ამბების წინააღმდეგ არსებული მეთოდებით ბრძოლა (მიუხედავად მათდამი პატივისცემისა), შეიძლება არ იყოს საკმარისი. თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს სრულიად ლეგიტიმური შიში იმის შესახებ, რომ ინფორმაციის რეგულირებამ შეიძლება ძალიან მძიმე შედეგები მოიტანოს სიტყვისა და გამომხატვის თავისუფლებისთვის.

ჯეკ გოლდსმიტი, ჰარვარდის სამართლის პროფესორი კონსერვატიული შეხედულებებით, წერს, რომ რაიმე ტიპის შეზღუდვა შეიძლება გამოყენებული იყოს ხელისუფლებაში მყოფი პირების მიერ სიმართლის ჩასახშობად. არსებობს რისკი, რომ ის ხშირად უკიდურესად მავნებლურად იქნება გამოყენებული კრიტიკული ხმების ჩახშობის მიზნით.⁴⁰ არაერთი სხვა მკვლევარის მთავარი შეშფოთების საგანი სწორედ ესაა - რამდენად სწორია ყალბი ამბების შესახებ მთავრობის არბიტრის როლში გამოყვანა, რათა მან გადაწყვიტოს რა არის „ჭეშმარიტი“ და რა არის „ყალბი“? ეს თავის თავში მოცავს გულუბრყვილო ოპტიმიზმს იმისა, რომ მთავრობა იმოქმედებს საზოგადოებრივი და არა საკუთარი ინტერესებით. არსებობს საფრთხე, რომ მთავრობა ჩაერთვება ამ ყველაფერში პარტიულობის პერსპექტივიდან და გავლენას მოახდენს პროცესის ყველა დონეზე. ასეთი გადაწყვეტილებები იწვევს ხელისუფლებისთვის მეტი ბერკეტის მიცემას და მათ ბოროტად გამოყენებას, რაც შეიძლება დამანგრეველი იყოს საჯარო დებატებისთვის.⁴¹ ლიბერტიარიანელი რიჩარდ სტოლმანი, ინტერნეტ დიდების დარბაზის წევრი, აგრეთვე მიიჩნევს, რომ „მეთვალყურეობა და ცენზურა განდება უფრო სისტემატური, თუნდაც ისეთ თავისუფალ ქვეყნებში, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები. ტერორიზმი და შევიწროება ტროლების მიერ, წარმოდგენილი იქნება როგორც საბაბი, მაგრამ შეზღუდვის ეფექტი იქნება საშიში დემოკრატიისთვის“.⁴²

ამერიკის უზენაესი სასამართლო, სხვადასხვა საქმის განხილვისას, იმ საფრთხეებზე აპელირებს, რაც განცხადებების მხოლოდ მცდარობის მოტივით შეზღუდვას შეიძლება ახლდეს თან. „მართალია ფაქტობრივი უზუსტობის შემცველი განცხადებები ნაკლები ღირებულების მატარებელია იდეათა ბაზარზე ვიდრე სიმართლის შემცველი, რის გამოც ხელისუფლებას ხშირად აქვს მიზეზი, რომ აკრძალოს ასეთი გამომხატვა, თუმცა მისი რეგულირება საფრთხის შემცველია“.⁴³ „განცხადებების მხოლოდ მცდარობა, განმცხადებლის მოტივის, მცდარობის წინასწარ შეცნობის, განზრახვის, ზიანის მიყენების ფაქტის მიუხედავად, ხელისუფლებას იარაღს აძლევს იმისთვის, რომ მხოლოდ მცდარობის საფუძვლით შეზღუდოს გამომხატვის

⁴⁰ იგივე; <https://nyti.ms/3nh3EX5>

⁴¹ Alan K. Chen. William & Mary Law Review. 2020. Free Speech, Rational Deliberation, and Some Truths About Lies. <https://bit.ly/3B8DYR8>

⁴² Pew Research Center. 2017. The Future of Free Speech, Trolls, Anonymity, and Fake News Online. <https://bit.ly/3E8gQnF>

⁴³ მოსამართლე ბრაიერის თანმხვედრი აზრი საქმეზე United States v. Alvarez 567 U.S (2012). Cornell Law School. Legal Information Institute. <https://bit.ly/3pwgJyt>

თავისუფლება და ისინი, ვინც ხელისუფლებისთვის არაპოპულარულნი არიან, იქნებიან შიშის ქვეშ, რომ ხელისუფლება ამ იარაღს შერჩევითად სწორედ მათ წინააღმდეგ, მათ გასაჩუმებლად გამოიყენებს”.⁴⁴ მოსამართლე კენედი სახელმწიფოს ხელში ამგვარი ძალაუფლების კატეგორიული წინააღმდეგია და მას ფაქტობრივად ჯორჯ ურუელის ცნობილ რომანში - „1984“ - არსებულ მდგომარეობას აღარებს.⁴⁵ აღსანიშნავია, რომ „მცდარი განცხადებების არსებობა გარდაუვალია თავისუფალ დებატებში, ამიტომ საჭიროა მათი დაცვა, რათა გამონატვის თავისუფლებას „სუნთქვის“ საშუალება მიეცეს“.⁴⁶ „როგორც სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, მცდარი განცხადების გამო პასუხისმგებლობის (სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის) შიშმა, შესაძლოა ადამიანის მიერ მართალი განცხადებების გავრცელება დააბრკოლოს, რაც მსუსხავ ეფექტს იქონიებს იმ სახის გამონატვაზე, რომელიც პირველი შესწორების ბირთვის წარმოადგენს“.⁴⁷

გარდა ზემოაღნიშნული, სრულიად საფუძვლიანი შიშებისა, არსებობს უამრავი ცოცხალი მაგალითი, როცა „ყალბი ამბებისგან საზოგადოების დაცვის“ მოტივით სიტყვის თავისუფლების უხეში შეზღუდვა ხდება. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს საერთაშორისო საზოგადოებამ მოახდინა რეაგირება დეზინფორმაციის მზარდ გავრცელებაზე და მიიღეს „ერთობლივი დეკლარაცია გამონატვის თავისუფლებისა და ყალბი ამბების, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის შესახებ“.⁴⁸ ის შემუშავებულია გამონატვის თავისუფლების სპეციალისტების მიერ მიერ გაეროს უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციიდან, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციიდან და ადამიანისა და ხალხის უფლებების აფრიკული კომისიიდან. დოკუმენტი შემუშავდა სამოქალაქო საზოგადოების შესაბამისი ჩართულობითაც. მიუხედავად ამ დოკუმენტში გაწერილი სტანდარტებისა, რომლებიც დაკავშირებულია ონლაინ გამონატვის დაცვასთან და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლასთან, არცერთ მთავრობას არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები, რომლებიც სრულად პატივს სცემს ამ პრინციპებს. სინამდვილეში, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ზოგიერთმა დეზინფორმაციის საფრთხე გამოიყენა სიტყვის თავისუფლების დრაკონული შეზღუდვების გასამართლებლად, რომელიც უფრო დიდ რისკს უქმნის დემოკრატიას, ვიდრე უცხოური დეზინფორმაცია, რომლის საწინააღმდეგოდაც ისინი იქნენ მიღებული. ამასთან, ეს სტანდარტები, მიუხედავად იქ გაწერილი პასუხისმგებლობებისა, რომლებიც ხელმომწერმა ქვეყნებმა უნდა შეასრულონ, ვერ აიძულებენ ისეთ მავნე აქტორებს მათ შესრულებას, როგორცაა რუსეთი და ჩინეთი, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში შემზღუდავ ნორმებს ბოროტად იყენებენ და ამავდროულად, ავრცელებენ დეზინფორმაციასაც.⁴⁹

⁴⁴ იგივე; <https://bit.ly/3pwwjyt>

⁴⁵ United States v. Alvarez 567 U.S (2012). Cornell Law School. Legal Information Institute. <https://bit.ly/3pwwjyt>

⁴⁶ New York Times Co. v. Sullivan, 376 U.S (1964). Cornell Law School. Legal Information Institute.

<https://bit.ly/3vFSr5Y>

⁴⁷ Gertz v. Robert Welch, Inc., 418 U.S (1974). Cornell Law School. Legal Information Institute.

<https://bit.ly/3npEjKn>

⁴⁸ Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE). 2017. Joint declaration on freedom of expression and “fake news”, disinformation and propaganda. <https://bit.ly/3B4qGFp>

⁴⁹ Nina Jankowicz, Shannon Pierson. Wilson Center – Science and Technology Innovation Program. 2020. Freedom and Fakes: A Comparative Exploration of Countering Disinformation and Protecting Free Expression.

<https://bit.ly/3pvqbSz>

ავტორიტარების მიერ ყალბი ამბების კანონების ბოროტად გამოყენების ტენდენციას კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შესძინა.⁵⁰ პანდემიის დაწყებისთანავე, ვირუსის შესახებ დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით, ათობით ქვეყანამ შემოიღო ახალი საკანონმდებლო რეგულაცია ან უფრო ინტენსიურად გამოიყენა მანამდე არსებული შემზღუდავი ნორმები. აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს საკანონმდებლო ნორმები და მთავრობების ქმედებები არა დეზინფორმაციასთან ბრძოლას, არამედ კრიტიკული აზრის შეზღუდვას ისახავდა მიზნად. ავტოკრატიულ ქვეყნებში „ყალბი ამბების“ (რომლებიც, შესაძლოა სულაც არ იყვნენ ყალბი, არამედ - უბრალოდ კრიტიკული) კრიმინალიზაცია გამოიყენეს იარაღად, რომლითაც ინფორმაციის კონტროლი და მედიის გაჩუმება ხდებოდა. იყო რამდენიმე ისეთი ქვეყანაც, რომელთა ცალსახა მიზანს არ წარმოადგენდა კრიტიკული ხმების ჩახშობა, თუმცა, მათ მიერ ნაჩქარევად და ბუნდოვანი ფორმულირებებით მიღებული კანონებიც კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა.⁵¹

პანდემიის გარეშეც, ზოგადად, იმ მთავრობებმაც კი, რომლებსაც კეთილგანწყობილი მოტივაცია აქვთ თავიანთი კონტრდეზინფორმაციული რეგულაციების მიღმა, როგორცაა მაგალითად გერმანია და ბრაზილია, ეს პროცესი დაასრულეს თავისუფალი სიტყვის შეზღუდვის ძალიან სარისკო ნორმალიზაციის ნიშნებით. კითხვის ნიშნები გაჩნდა უკრაინის⁵² და ბალტიის ქვეყნების⁵³ მიერ რუსეთთან აფილირებული ტელევიზიების დახურვასთან დაკავშირებითაც. ამასთან, გერმანიის კანონი - Act to Improve Enforcement of the Law in Social Networks (ცნობილია როგორც NetzDG) - რომელიც ონლაინ სივრცეში დეზინფორმაციის აკრძალვას გულისხმობს, ძალიან ბევრი ავტორიტარული მთავრობისთვის (მაგალითად, რუსეთისთვის) უკვე გახდა თავისუფალი სიტყვის შეზღუდვის ინსპირაცია. მათ ეს კანონი უბრალოდ გადაწერეს და კრიტიკული აზრის ჩასახშობად იყენებენ.⁵⁴

გერმანიის მიერ მიღებული კანონის კონტექსტში კი აღსანიშნავია, რომ ყველაზე ხელშესახები ეფექტი, რომელიც მისმა ამოქმედებამ გამოიწვია იყო ის, რომ სოციალური ქსელის პლატფორმებმა გააფართოვეს საკუთარი სახელმძღვანელო პრინციპები და ეცადნენ ყალბი ამბების წინააღმდეგ უფრო აქტიურ ქმედებებს დიდი ჯარიმების (გერმანიაში განსაზღვრულია 50 მლნ ევრომდე ჯარიმა სოციალური ქსელების პლატფორმებისთვის, რომლებიც 24 საათის განმავლობაში ვერ ამოიღებენ სადავო შინაარსს, ან ვერ უზრუნველყოფენ საკმარის გამჭვირვალობას) შიშით. აღნიშნული კი, ასევე იწვევს შემფოთებას იმის შესახებ, რომ სოციალური პლატფორმები თანდათან შეიძლება გახდნენ უფრო მკაცრი და ამან შეზღუდოს სიტყვის თავისუფლება. როგორც „ვილსონის ცენტრის“ მკვლევარები აღნიშნავენ, „გერმანიის NetzDG კანონი სულაც არ არის იდეალური, მაგრამ გერმანული ინსტიტუტების სიმყარე და მათ

⁵⁰ The Economist. 2021. Censorious governments are abusing “fake news” laws. <https://econ.st/3Ga1V3>

⁵¹ დავით ქუტიძე. Gnomon Wise. 2021. კორონავირუსის შესახებ „დეზინფორმაციასთან ბრძოლის“ საბაბით დაწყებული სამთავრობო ცენზურის პანდემია. <https://bit.ly/3ngYwSz>

⁵² Peter Dickinson. Atlantic Council. 2021. Analysis: Ukraine bans Kremlin-linked TV channels. <https://bit.ly/3C9500U>

⁵³ Reporters Without Borders (RSF). 2020. Baltic countries: Misusing EU sanctions to ban Russian TV channels is not a legitimate tool for promoting reliable information. <https://bit.ly/3B7xXUV>

⁵⁴ Nina Jankowicz, Shannon Pierson. Wilson Center – Science and Technology Innovation Program. 2020. Freedom and Fakes: A Comparative Exploration of Countering Disinformation and Protecting Free Expression. <https://bit.ly/3pvqbSz>

მიერ სამოქალაქო უფლებების მაღალი სტანდარტებით დაცვა, მის უარყოფით მხარეებს მეტ-ნაკლებად ანეიტრალებს. თუმცა, NetzDG-ის მსგავსი კანონების განხორციელებამ ნაკლები დაცვის მქონე სახელმწიფოებში შეიძლება გამოიწვიოს [და იწვევს კიდევ] მძიმე შედეგები უფლებების დაცვის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ბუნდესტაგმა გადაწყვიტა დაეცვა გერმანიის მოქალაქის თავისუფალი სიტყვისა და გამოხატვის უფლება NetzDG-ის საშუალებით „უსაფრთხო ონლაინ გარემოს“ უზრუნველყოფით, მან უნებლიეთ შეასუსტა ინტერნეტის გლობალური თავისუფლება“.⁵⁵

რეგულირების კიდევ ერთი პრობლემა წმინდა პრაქტიკულ გარემოებებს უკავშირდება. ფაქტობრივად შეუძლებელია საკანონმდებლო დონეზე სიმართლის ან სიყალბის ზუსტი და ყოვლისმომცველი განსაზღვრება. კანონმდებელმა შეიძლება გაამახვილოს ყურადღება მხოლოდ ფაქტობრივი მტკიცებების რეგულირებაზე, რომლებიც ობიექტურად გადამოწმებადია, მაგრამ აქაც უამრავ პრობლემას წააწყდებით. ზოგიერთი მტკიცება, როგორცაა „Obamacare გააკოტრებს ქვეყანას“ ან „ტრამპი დაუბრუნებს ქვანახშირის მადაროელებს თავიანთ კუთვნილ ადგილს ამერიკის ეკონომიკაში“, შეიძლება იყოს მხოლოდ პოლიტიკური რიტორიკა და არც იყოს ჩაფიქრებული როგორც ფაქტობრივი მტკიცება. მაშინაც კი, თუ ყველა ეკონომისტი დაამტკიცებს, რომ ეს განცხადებები არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, არ არსებობს მიზეზი, თუ რატომ უნდა აიკრძალოს ამგვარი რიტორიკა პოლიტიკურ დებატებში.⁵⁶ დეზინფორმაციის წინააღმდეგ მიღებულ რეგულაციებს ხშირად სწორედ იმიტომ აკრიტიკებენ, რომ ისინი იძლევიან ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას, რაც პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს კრიტიკული აზრისთვის. ამასთან, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ესა თუ ის დეზინფორმაციული ცნობა შეიძლება სულაც არ იყოს ცალსახად ყალბ ამბავზე დაფუძნებული, არამედ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აერთიანებდეს სიმართლის კომპონენტებს, თუმცა წარმოჩენილი იყოს მცდარი აღქმების შესაქმნელად. დეზინფორმაციის თანამედროვე მეთოდები დღეს საკმაოდ დახვეწილად აერთიანებს არასწორად გამოყენებულ ან მცდარ ფაქტებს, ინფორმაციის მიზანმიმართულ გამოტოვებას და შეცდომაში შემყვან არჩევანს იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს სიახლე.⁵⁷ აქედან გამომდინარე, საკმაოდ რთულია ზუსტად დაადგინო, არის თუ არა კონკრეტული ამბავი რეგულაციების საწინააღმდეგო შინაარსის. ან, თუნდაც ეს დადგინდეს (რასაც საკმაოდ ხანგრძლივი განხილვა სჭირდება), ამასობაში, შესაძლოა კონკრეტული სიყალბის მავნე გავლენა სამიზნე აუდიტორიაზე უკვე დამდგარი იყოს.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული და ზოგადად გავრცელებული იმ იდეის გარდა, რომლის მიხედვითაც ყალბ ამბებს არ აქვს არავითარი დატვირთვა და მიჩნეულია „არაფრისმთქმელ მეტყველებად“, არსებობს საპირისპირო მოსაზრებებიც. ამერიკის უზენაესი სასამართლოს მსჯელობის თანახმად,⁵⁸ „ფაქტობრივი უზუსტობის შემცველი განცხადებებიც კი, სხვადასხვა კონტექსტში (სოციალურ, საჯარო, ასევე ტექნოლოგიური, ფილოსოფიურ თუ სამეცნიერო კონტექსტში), შეიძლება ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. მოვიხმოთ თუნდაც

⁵⁵ იგივე; გვ. 13. <https://bit.ly/3pvqbSz>

⁵⁶ Alan K. Chen. William & Mary Law Review. 2020. Free Speech, Rational Deliberation, and Some Truths About Lies. <https://bit.ly/3B8DYR8>

⁵⁷ Julie Mastrine. The Forum Network. 2019. Defining “Fake News” Is Harder Than You’d Think. <https://bit.ly/3jrt8Qm>

⁵⁸ United States v. Alvarez 567 U.S (2012). Cornell Law School. Legal Information Institute. <https://bit.ly/3pwgJyt>

სოკრატეს მეთოდი, სადაც არასწორი განცხადების განხილვა (სულაც რომ განზრახ იყოს ეს გაკეთებული), პროვოცირებას უწევს ფიქრს, რაც საბოლოოდ ჭეშმარიტების დადგენას უწყობს ხელს. მცდარი განცხადებები ცდომილებასთან კოლიზიის წარმოშობისას უფრო ნათლად აღქმადს ხდის სიმართლეს და ცოცხალ შთაბეჭდილებას იძლევა მის შესახებ. ის რაც დღეს მიჩნეულია სიბრძნედ და ჭეშმარიტებად, შეიძლება ხვალ მცდარი აღმოჩნდეს. შესაბამისად, ამ კონტექსტში, მცდარი განცხადებებიც შეიძლება ძალიან ღირებული კონტრიბუცია აღმოჩნდეს საჯარო დებატებში“.

ალან ჩენი, სამართლის უნივერსიტეტის პროფესორი დენვერის სტურმის სამართლის კოლეჯიდან, წერს, რომ ყალბ ახალს ამბებს აქვთ მნიშვნელობა, რადგან ხელოვნების, რელიგიური გამონახვის და ადამიანის კომუნიკაციის სხვა ფორმების მსგავსად, რომლებიც არ არიან იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ რაციონალურ განხილვებს, ყალბ ახალს ამბებსაც შეუძლია წაახალისოს ექსპრესიული ექსპერიმენტული ავტონომიის ფორმები. მას შეუძლია მისცეს ინდივიდებს საშუალება, გამოსცადონ ინდივიდუალური თვითრეალიზება და კულტურული კავშირები ჩამოაყალიბონ თანამოაზრეებთან.⁵⁹ ამასთან, ჩენი ხაზს უსვამს, რომ მისი მიზანი არ არის ყალბი ამბების რომანტიზება, თუმცა მიაჩნია, რომ თავისუფალ სიტყვას, მათ შორის ყალბ ამბებს, ასევე შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელობა, რადგან მათ შეიძლება ხელი შეუწყონ სოციალურ თანხვედრას თანამოაზრე ჯგუფებთან. იმ არგუმენტის გასამყარებლად, რომ ყალბი ამბებიც გარკვეულწილად უნდა მოიაზრებოდეს სიტყვის თავისუფლების კონტექსტში, შეიძლება რელევანტური იყოს პროფესორ ემერსონის მიერ თავისუფალი სიტყვის განსაზღვრა, სადაც ის ოთხ თანაბარ განზომილებას გამოყოფდა: 1. ინდივიდუალური თვითკმაყოფილების უზრუნველყოფა; 2. ცოდნის გაღრმავება და სიმართლის აღმოჩენა; 3. საზოგადოების ყველა წევრისთვის შესაძლებლობის მიცემა, მონაწილეობა მიიღონ საერთო გადაწყვეტილებებში; 4. უფრო ადაპტირებადი და, შესაბამისად, უფრო სტაბილური საზოგადოების მიღწევა... ჯანსაღ დებატებსა და აუცილებელ კონსენსუსს შორის ბალანსის შენარჩუნება. ამდენად, მიიჩნევა, რომ ამ კონკრეტულ კატეგორიებში აღიარებული არცერთ ღირებულება თავისი არსით არ აღემატება სხვებს და მათ თანაბარი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოთ.⁶⁰

ვეთანხმებით თუ არა, ზემოთ მოცემულ არაერთ არგუმენტირებულ აზრს, პრაქტიკა გვაიძულებს ვადიაროთ, რომ ინფორმაციაზე (თუნდაც არა ბოროტი განზრახვით) დაწესებული რაიმე ტიპის რეგულირება ადვილად გადაიზრდება ხოლმე სიტყვის თავისუფლებისთვის დამაზიანებელ ქმედებებში.

⁵⁹ Alan K. Chen. William & Mary Law Review. 2020. Free Speech, Rational Deliberation, and Some Truths About Lies. <https://bit.ly/3B8DYR8>

⁶⁰ Martin H. Redish. 1982. The Value of Free Speech. <https://bit.ly/3G7p1Tc>

საქართველო, როგორც დეზინფორმაციის სამიზნე და მოცემულობა, რომელიც მის რეგულირებაზე მსჯელობას ჩანასახშივე სპობს

ზემოთ განხილული არაერთი არგუმენტი და პრაქტიკული მაგალითი ნათლად აჩვენებს, თუ რა გამოწვევას წარმოადგენს დეზინფორმაცია თანამედროვე დემოკრატიისთვის. ეს პრობლემა მწვავედ დგას ჩვენს ქვეყანაშიც. წლების მანძილზე, რუსეთთან აფილირებული წყაროებიდან მოდის უამრავი გამოგონილი, განზრახ დამახინჯებული და პროპაგანდისტული გზავნილებით გაკურებული ისტორიები, რომელთა აშკარა მიზანი ანტიდასავლური⁶¹ (აშშ-ის, ევროპის და დასავლური ინსტიტუტების დისკრედიტაცია) განწყობების გაღვივებაა, რითაც რუსეთი საქართველოს გაცხადებული არჩევანისთვის - დასავლეთთან ინტეგრაციისთვის - ხელის შეშლას ცდილობს. 2017 წლის შემდგომ, აღნიშნული მცდელობები აღიარებული და ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად არის დასახელებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) ანგარიშებში.⁶² იმ ფონზე, როდესაც საქართველოს 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ და ფაქტობრივად ყოველდღიურად ხდება საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებადი ტერიტორიების მიტაცება ე.წ. მცოცავი ოკუპაციის საშუალებით, შეიძლება ითქვას, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი აწარმოებს ე.წ. „ჰიბრიდულ ომს“ საქართველოს წინააღმდეგ და უხეშ ძალასთან ერთად, იყენებს დეზინფორმაციასა და ყალბ ამბებს ქვეყანაში შიშის, უიმედობის და დემოკრატიული ფასეულობების მიმართ ნიჰილიზმის დასათესად.⁶³

ანტიდასავლური დეზინფორმაციის კამპანიებში გამოყენებული მეთოდები საკმაოდ დახვეწილი და რთულად ამოსაცნობია საკითხში გაუთვინცობიერებელი მოქალაქეებისთვის. სხვადასხვა ქართულენოვანი საინფორმაციო წყაროებით ვრცელდება გზავნილები, რომელთა თანახმადაც: „საქართველოს არ აქვს ევროპული მომავალი და ის ვერც ნატოში გაწევრიანდება; განსაკუთრებით ყარაბაღის ომის შემდეგ, საქართველო აღმოჩნდა ძალიან მარტივი არჩევნის წინაშე: ან ირჩევს თურქეთს და ისლამს ანდა ირჩევს ერთმორწმუნე რუსეთს და იწყებს დიალოგს მისი გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით... საქართველო არ უნდა დარჩეს დასავლეთის ფუჭ იმედად, უნდა იჩქაროს, რომ „რუსეთის გავლენის ზონაში“ მოხვდეს მისთვის მომგებიანი სტატუსით; თუკი საქართველოს წარმომადგენელი სწრაფად არ დაჯდება კრემლის ლიდერების წინაშე, შესაძლოა სუვერენიტეტიც ვერ შევინარჩუნოთ და ზედმეტი იქნება ფიქრი ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაზე; რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური თემების დალაგებით, საქართველომ „ბენეფიტების“ აღება უნდა იჩქაროს, თორემ შემდეგ რუსეთი თავის ინტერესებს მაინც გაიტანს და საქართველო ვერაფერს მიიღებს... დასავლეთი საქართველოს არაფერში ეხმარება, რუსეთისგან ვერაფრით იცავს - გამორიცხულია აქ ამერიკული ბაზის დაფუძნებაც... დასავლეთმა დახმარება რომც მოინდომოს, შესათავაზებელიც არაფერი აქვს და

⁶¹ მედიის განვითარების ფონდი (MDF). ანტიდასავლური პროპაგანდა. <https://bit.ly/3G8occn>

⁶² საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს). ანგარიშები. <https://bit.ly/3m53Lpb>

⁶³ საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS). 2020. პრორუსული და ანტიდასავლური დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წლიური ანგარიში. <https://bit.ly/3ngQCJ8>

ის ამას უბრალოდ ვერ მოასწრებს - რადგან რუსეთი ყოველმხრივ მზად არის საპირისპირო მოქმედებებისთვის“.⁶⁴

ზემოაღნიშნულის გარდა, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც მწვავედ დგას ქართული ენის ცოდნის პრობლემა, მოქალაქეთა საკმაოდ დიდი ნაწილი ინფორმაციას რუსულ ენაზე, რუსული პროპაგანდის არხებიდან იღებს.⁶⁵ ეს ყველაფერი გავლენას ახდენს მოქალაქეთა შეხედულებებზე დასავლეთის მიმართ და აყალიბებს მათში ნეგატიურ დამოკიდებულებებს. საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანებაზე სკეპტიკური ან გაურკვეველი პოზიცია აშკარად შესამჩნევია ეთნიკურ უმცირესობებში. ევროპის ფონდის 2019 წლის კვლევის მიხედვით, 2013-დან 2019 წლამდე საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მსურველთა რაოდენობა მუდმივად მცირდებოდა ეთნიკურ უმცირესობებში.⁶⁶ აღსანიშნავია, რომ ამ ყველაფრის ფონზე, რუსული დეზინფორმაციის საპასუხოდ მიღებული კონტრ-ზომები არასაკმარისია, რადგან, როგორც სფეროს მკვლევარები მიიჩნევენ, ქართულ სახელმწიფოს არ აქვს კოორდინირებული პასუხი (მაგალითად, მედია წიგნიერების ამაღლება, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის მხარდაჭერა, პროაქტიული კამპანიები და ა.შ.) ამ საფრთხეზე⁶⁷ და მხოლოდ სამოქალაქო სექტორისა და მედიის ნაწილი⁶⁸ ცდილობს მის წინააღმდეგ ბრძოლას.

ისევე როგორც არაერთ დასავლურ ქვეყანაში, არსებობს მოსაზრებები, რომ საქართველოში რუსული დეზინფორმაციული კამპანიების გავლენის შესამცირებლად უნდა გადაიდგას უფრო ქმედითი ნაბიჯები, თუნდაც, მოხდეს მსგავსი ინფორმაციის რეგულირება შესაბამისი კანონმდებლობით და მისი წყაროების შეზღუდვა. თუმცა, როგორც ზემოთ განხილულმა პრაქტიკამ გვაჩვენა, მსგავსი მეთოდების დანერგვა შესაძლოა უფრო მეტად დამაზიანებელი აღმოჩნდეს დემოკრატიისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ დღეს ქართული დემოკრატია ძალიან შორს დგას დასავლური დემოკრატიებისგან (რომლებიც, ასევე ვერ ახერხებენ ოქროს შუალედის პოვნას დეზინფორმაციის რეგულირებასა და თავისუფალი სიტყვის დაცვას შორის) და ქვეყანაში ფაქტობრივად ყველა ინსტიტუტის, მათ შორის, სასამართლოსადმი ნდობა დაბალია,⁶⁹ სახელმწიფოსთვის არბიტრის როლის მიცემა შესაძლოა დამლუპველი აღმოჩნდეს თავისუფალი სიტყვისთვის და ყალბი ამბების პრობლემა არა სახელმწიფო, არამედ პარტიული მიზნების მისაღწევად იქნას გამოყენებული. ამდენად, რეგულირების დილემის დადგომამდე, სულ მცირე, უნდა გამოიცადოს ყველა ის არაშემზღუდავი

⁶⁴ ლელა კუნჭულია. რადიო თავისუფლება. 2021. „არ ღირს ოკუპაციის დემონიზება“ - რისთვის იბრძვის „ალტ-ინფო“. <https://bit.ly/3bcWgWU>

⁶⁵ ღია საზოგადოების ფონდი. 2019. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა. <https://bit.ly/3vxWKAc>

⁶⁶ Europe Foundation. 2019. Knowledge and Attitudes towards the EU Integration in Georgia, 2009-2019. <https://bit.ly/3b1GcY4>

⁶⁷ საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) პროექტების მენეჯერის, მარიამ წიწიკაშვილის ინტერვიუ Accent-თან. 2021. <https://bit.ly/3B4hocC>

⁶⁸ Information Integrity Coalition - კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის. Facebook გვერდი. <https://bit.ly/2XyeS0i>

⁶⁹ მარიამ ბოგვერაძე. ნეტგაზეთი. 2020. ბოლო 10 წელში სასამართლოს ნდობის ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს - CRRC. <https://bit.ly/3ngQRnw>

საშუალება, რაც დეზინფორმაციასთან ბრძოლის კუთხით დემოკრატიულ ქვეყნებშია დანერგილი და მეტ-ნაკლებად მუშაობს. პერსპექტივაში, შესაბამისი წინაპირობების შემთხვევაში, ყალბი ამბების რაიმე ფორმით რეგულირების შესახებ მსჯელობა შეიძლება, თუმცა, იდეალურთან მიახლოებულ პირობებშიც კი, იმის გამორიცხვა, რომ მსგავსი რეგულაციები უფრო დიდ ზიანს არ მოიტანს თავისუფალი სიტყვის შეზღუდვის სახით, ფაქტობრივად შეუძლებელია.